



## მოხსენება

საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შესრულების მიმდინარეობის შესახებ  
მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

## შინაარსი

|                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....                              | 3  |
| შემაჯამებელი მიმოხილვა.....                                               | 4  |
| 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....                        | 6  |
| 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება.....   | 7  |
| 3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....                                | 12 |
| 3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება .....        | 15 |
| 3.2. კაპიტალური პროექტები .....                                           | 16 |
| 3.3. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....              | 17 |
| 4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი .....                                     | 19 |
| 4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები .....                         | 21 |
| 4.2. საშინაო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსი .....             | 23 |
| 4.3. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები .....              | 24 |
| დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები .....                          | 27 |
| დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები .....           | 29 |
| დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები ..... | 36 |

## ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

|                                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| მოხსენების<br>სამართლებრივი<br>საფუძვლები                                                                       | მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| მოხსენების<br>დოკუმენტური<br>საფუძვლები                                                                         | მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია. |
| სახელმწიფო<br>ბიუჯეტის<br>შესრულების<br>მიმდინარეობის<br>შესახებ<br>ანგარიშის<br>მომზადებაზე<br>პასუხისმგებლობა | სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.                                                                        |
| სახელმწიფო<br>აუდიტის<br>სამსახურის<br>პასუხისმგებლობა                                                          | მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| ზოგადი შეფასება                                                                                                 | სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

## შემაჯამებელი მიმოხილვა

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, შემოსულობების მოცულობა 27.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელების - 27.9 მლრდ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება 381 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 17.7 მლრდ ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 17 მლრდ ლარი შეადგინა.

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებულია წლიური გეგმური მაჩვენებლის 64.8%. წინა წლებთან შედარებით, მობილიზების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება საშემოსავლო გადასახადი, ხოლო დანარჩენი გადასახადების შესრულების ტენდენცია შედარებით დაბალია.

სხვა შემოსავლების კუთხით აღსანიშნავია შესრულების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, 8 თვეში მობილიზებულ იქნა წლიური გეგმის 97.3%, რაც ძირითადად დივიდენდების მუხლის გადაჭარბებით შესრულებამ განაპირობა. დივიდენდების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 670 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 223.4%), რაც მთლიანად ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული დივიდენდია.

2024 წლისგან განსხვავებით, შესრულების მაღალი ტენდენციით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. 8 თვის მონაცემებით, ამ კომპონენტში მობილიზებულია 216 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 72.1%-ია.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 8 თვეში ათვისებულია წლიური გეგმის 61% (17 მლრდ ლარი). გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებს შორის საყურადღებოა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დაბალი ათვისების ტენდენცია, რომლის შესრულებამაც 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმის 55.2%, ხოლო წლიური გეგმის მხოლოდ 40.7% შეადგინა.

წლის განმავლობაში გადასახდელების თანაბარზომიერი ათვისების კუთხით გამოწვევად რჩება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების დინამიკა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებსა და დაბალი ათვისების ტენდენციის მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში. კერძოდ:

- ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში ადგილი აქვს თანხების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;

- გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისება აქვს 89 პროგრამას (პროგრამების 55.6%) და 195 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 47.8%).

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით ათვისების დაბალი ტენდენციით ხასიათდება კაპიტალურ პროექტებზე გამოყოფილი ასიგნებები. კერძოდ, კაპიტალური პროექტების დანართით განსაზღვრული პროექტების ფარგლებში დახარჯულია 1.8 მლრდ ლარი, რაც კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის მხოლოდ 42%-ია, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 67%. როგორც წლიური გეგმის, ასევე 9 თვის დაზუსტებული გეგმის 60%-ზე ნაკლებია ათვისებული 36 პროექტის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/პროექტების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობამ 35.5 მლრდ ლარი შეადგინა და 1.4 მლრდ ლარით (4.1%-ით) გაიზარდა 2024 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო ვალის არსებული ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტის მოქმედი კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (36.4 მლრდ ლარი) 97.5%-ს შეადგენს.

მთავრობის ვალის მოცულობა 8 თვის მდგომარეობით 34.6 მლრდ ლარია და 2024 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.4 მლრდ ლარითაა (4.3%-ით) გაზრდილი. მათ შორის, მთავრობის საშინაო ვალი გაიზარდა 967 მლნ ლარით, ხოლო საგარეო ვალი - 463 მლნ ლარით. მთავრობის საგარეო ვალი ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად 867 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო ახალი კრედიტების წმინდა ზრდა 414 მლნ ლარით შემცირდა.

საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტების მოცულობა მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ეს ნიშნული დარღვეულია და ზემოხსენებული კრედიტების წილი მთლიანი პორტფელის 46.3%-ია, რაც პორტფელის მოწყვლადობას საპროცენტო განაკვეთის შოკების მიმართ ზრდის.

გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში გაზრდილი მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და მთავრობის ვალის პორტფელში საშინაო ვალის წილის ზრდა მნიშვნელოვან ფისკალურ წნეხს წარმოქმნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საინვესტიციო პროექტების ფარგლებში ჯამურად დაიხარჯა 458.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 37.4%-ია. ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლების ტენდენციებს და საინვესტიციო პროექტზე გამოყოფილი თანხების წლის ბოლომდე ათვისების კუთხით გარკვეულ რისკებს წარმოშობს.

## 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები


2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 27.6 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელების გეგმა 27.9 მლრდ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება 381 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 17.7 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 64.1%), ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 17 მლრდ ლარი (წლიური გეგმის 61%) შეადგინა.

ცხრილი 1. 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

|                 | 2023 წლის 8 თვის ფაქტი | 2024 წლის 8 თვის ფაქტი | 2025 წლის წლიური გეგმა | 2025 წლის 8 თვის ფაქტი | 2025 წლის 8 თვის შესრულება (%) |
|-----------------|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|--------------------------------|
| შემოსულობები    | 14,639                 | 16,680                 | 27,561                 | 17,677                 | 64.1%                          |
| გადასახდელები   | 13,816                 | 16,272                 | 27,942                 | 17,039                 | 61.0%                          |
| ნაშთის ცვლილება | 823                    | 408                    | -381                   | 638                    |                                |


შემოსულობები მცირედი გადაჭარბებით შესრულდა პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, მაშინ როდესაც გადასახდელები გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდებოდა (იხ. დიაგრამა 1). კერძოდ, პირველ კვარტალში შემოსულობებმა გეგმას 0.5%-ით (32.1 მლნ ლარით), მეორე კვარტალში კი 1.3%-ით (86.6 მლნ ლარით) გადააჭარბა. ანალოგიურ პერიოდში გადასახდელები კვარტალურ გეგმებს შესაბამისად, 5.7%-ითა (386.9 მლნ ლარით) და 7.7%-ით (528 მლნ ლარით) ჩამორჩა.

დიაგრამა 1. 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან მიმართებით.




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების პირობებში, 8 თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 637.5 მლნ ლარით გაიზარდა და აგვისტოს ბოლოს 2 მლრდ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების დინამიკა ყოველი თვის ბოლოს - 2025 წ. (მლნ ლარი)



დიაგრამა 3. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა - 2025 წ. (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ზრდასთან ერთად ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული მოკლევადიანი დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2025 წლის 8 თვეში ძირითადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და იანვარ-აგვისტოს პერიოდში 1.4 მლრდ ლარიდან 2.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა. გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე<sup>1</sup> ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში განთავსებულია 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

## 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 23.4 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 1.6 მლრდ ლარით (7.3%-ით) აღემატება 2024 წლის ფაქტობრივ წლიურ მაჩვენებელს - 21.8 მლრდ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მიღებულმა შემოსავლებმა 15.6 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 66.7% შეადგინა (2024 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 65.5%). მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 14.2 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 64.8%-ია.


<sup>1</sup> საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.



ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 8 თვის შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).

|                          | 2024 წლის 8<br>თვის ფაქტი<br>(1) | 2025 წლის<br>წლიური<br>გეგმა<br>(2) | 2025 წლის 9<br>თვის გეგმა<br>(3) | 2025 წლის 8<br>თვის ფაქტი<br>(4) | %<br>(4) / (3) | %<br>(4) / (2) |
|--------------------------|----------------------------------|-------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------|----------------|
| <b>შემოსავლები</b>       | <b>14,302</b>                    | <b>23,435</b>                       | <b>17,333</b>                    | <b>15,639</b>                    | <b>90.2%</b>   | <b>66.7%</b>   |
| საგადასახადო შემოსავლები | 13,084                           | 21,885                              | 16,155                           | 14,176                           | 87.7%          | 64.8%          |
| გრანტები                 | 195                              | 200                                 | 144                              | 150                              | 103.5%         | 74.8%          |
| სხვა შემოსავლები         | 1,023                            | 1,350                               | 1,033                            | 1,313                            | 127.1%         | 97.3%          |

დიაგრამა 4. სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურა 8 თვის მდგომარეობით.



ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 8 თვის ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი).


|                                 | 2024 წლის<br>8 თვის<br>ფაქტი<br>(1) | 2025 წლის<br>წლიური<br>გეგმა<br>(2) | 2025 წლის<br>9 თვის<br>გეგმა<br>(3) | 2025 წლის<br>8 თვის<br>ფაქტი<br>(4) | %<br>(4) / (3) | %<br>(4) / (2) |
|---------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|----------------|----------------|
| <b>საგადასახადო შემოსავლები</b> | <b>13,084</b>                       | <b>21,885</b>                       | <b>16,155</b>                       | <b>14,176</b>                       | <b>87.7%</b>   | <b>64.8%</b>   |
| საშემოსავლო გადასახადი          | 4,401                               | 7,369                               | 5,499                               | 4,963                               | 90.2%          | 67.3%          |
| მოგების გადასახადი              | 2,179                               | 3,070                               | 2,385                               | 1,873                               | 78.5%          | 61.0%          |
| დღგ                             | 4,897                               | 8,136                               | 6,024                               | 5,153                               | 85.5%          | 63.3%          |
| აქციზი                          | 1,604                               | 2,650                               | 1,933                               | 1,649                               | 85.3%          | 62.2%          |
| იმპორტის გადასახადი             | 92                                  | 150                                 | 114                                 | 95                                  | 83.5%          | 63.5%          |
| სხვა გადასახადები               | -89                                 | 510                                 | 200                                 | 443                                 | 221.7%         | 86.9%          |

2025 წლის 8 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმური მაჩვენებლის 64.8%. 2023-2024 წლებში ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად, 64.1%-სა და 64.8%-ს




შეადგენდა. წინა წლებთან შედარებით, მობილიზების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება საშემოსავლო გადასახადი, ხოლო დანარჩენი გადასახადების შესრულების ტენდენცია შედარებით დაბალია. წლიური გეგმიდან ყველაზე მეტი ჩამორჩენით ხასიათდება მოგების გადასახადი, რომლის შესრულების მაჩვენებელი 61%-ია (2023-2024 წლებში, შესაბამისად, 69.1% და 69.9%).

დიაგრამა 5. სახელმწიფო ბიუჯეტში 8 თვეში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების წილი წლის განმავლობაში ფაქტობრივად მობილიზებულ საგადასახადო შემოსავლებთან (2023-2024 წლებისთვის) და წლიურ გეგმასთან (2025 წლისთვის) მიმართებით.



დიაგრამა 6. დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი).



2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, „ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე დაგროვებულმა ნაშთმა 77 მლნ ლარი შეადგინა და


507 მლნ ლარით შემცირდა წლის დასაწყისში არსებულთან შედარებით. 8 თვეში ქვეანგარიშზე მიიმართა 1.14 მლრდ ლარი, ხოლო გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდათ 1.65 მლრდ ლარი.

**გრანტების** სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავლებმა 150 მლნ ლარი და წლიური გეგმის 74.8% შეადგინა. მათ შორის, სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული გრანტების<sup>2</sup> მოცულობა, 6 თვის მდგომარეობით,<sup>3</sup> 75 მლნ ლარია, რაც წლიური გეგმის 53.6%-ია.

რაც შეეხება **სხვა შემოსავლების** შესრულების მდგომარეობას, 2025 წლის 8 თვეში მობილიზებულ იქნა 1.3 მლრდ ლარი, რაც წლიური გეგმის 97.3%-ია. აღნიშნული ძირითადად **დივიდენდების** მუხლის გადაჭარბებით შესრულებამ განაპირობა. კერძოდ, დივიდენდების სახით მიღებულმა შემოსავლებმა 670 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 223.4%), რაც მთლიანად ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული დივიდენდია.

**საპროცენტო** შემოსავლის სახით 8 თვეში მობილიზებულია 206 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 58.9%, ხოლო 9 თვის გეგმის 90.8%-ია. გასული წლების ტენდენციების გათვალისწინებით, 2025 წლის რვა თვის მდგომარეობით საპროცენტო შემოსავლების შესრულება გეგმური მაჩვენებლიდან ჩამორჩენით ხასიათდება. კერძოდ, 2022-2024 წლებში 8 თვეში მიღებული საპროცენტო შემოსავლები საშუალოდ წლის განმავლობაში მობილიზებული საპროცენტო შემოსავლის 68.2%-ს შეადგენდა.

*დიაგრამა 7. საპროცენტო შემოსავლები წყაროების მიხედვით, 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით (მლნ ლარი).*



<sup>2</sup> სსიპ-ები, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ს მიმართავენ სახელმწიფო ბიუჯეტში.

<sup>3</sup> სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლის არანაკლებ 10% სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება შესაბამისი კვარტლის დასრულებისას (2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ფულადი სახსრების მართვის ოპერაციებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავლებმა 69 მლნ ლარი შეადგინა. საპროცენტო შემოსავლის მეორე მნიშვნელოვანი წყაროა საგარეო საკრედიტო და საბიუჯეტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი,<sup>4</sup> რომლის ფარგლებშიც მობილიზდა 77.6 მლნ ლარი. ამ თანხაში ასახულია სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებულ ორ სახელმწიფო საწარმოზე<sup>5</sup> საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემულ სესხებზე გადახდილი პროცენტი 32.6 მლნ ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული საწარმოების არაკრედიტუნარიანობის მიუხედავად, 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მათზე გადასესხებულია 1.4 მლრდ ლარი. ამ კომპანიებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სისტემატურად მიიმართება თანხები „სუბსიდიების“ ან/და „სხვა ხარჯების“ მუხლებიდან, ფუნქციონირების ხარჯების ან/და აღებული სესხების მომსახურებისა და დაფარვისთვის. კერძოდ, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაზე“ 2022-2024 წლებში ფუნქციონირების ხარჯების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების სახით მიიმართა, შესაბამისად, 20 მლნ ლარი, 15 მლნ ლარი და 16.5 მლნ ლარი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ ფუნქციონირების ხარჯებისა და საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე აღებული სესხების ძირითადი თანხისა და პროცენტის დასაფარად 2022-2024 წლებში სუბსიდიების სახით მიიმართა, შესაბამისად, 80 მლნ ლარი, 20 მლნ ლარი და 131 მლნ ლარი. თავის მხრივ, აღნიშნული კომპანიების მიერ მიღებული რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში ზემოხსენებული სესხების ძირისა და პროცენტის დაფარვის ფორმით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ აღიარებულ იქნა ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსულობად და საპროცენტო შემოსავლად. მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია, განახორციელოს რისკების შეფასება და მოცემული შეფასების ანალიზის შედეგად განსაზღვროს დაფინანსების ფორმა (სესხი, გრანტი, გარანტია და სხვა) და პირობები. ამასთან, გადახედვას საჭიროებს პრაქტიკა, რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოზე „ხარჯის“ მუხლით გადაცემული თანხა, ამ საწარმოს მიერ სახელმწიფოდან აღებულ სესხზე პროცენტის გადახდისას, გადაკლასიფიცირდება ბიუჯეტის საპროცენტო შემოსავლად.

საპროცენტო შემოსავლებში 59.3 მლნ ლარი მობილიზდა დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან, რომლის უდიდესი ნაწილი სადეპოზიტო სერტიფიკატებში<sup>6</sup> განთავსებული თანხებიდან მიღებული პროცენტია. აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტში წლის ბოლომდე არსებითი ოდენობის თანხის მიღება მოსალოდნელი აღარ არის.

<sup>4</sup> აღნიშნული აერთიანებს ორ მუხლს: „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)“ და „ხელისუფლების სხვა დონის ორგანოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) მიღებული პროცენტი (სარგებელი)“.

<sup>5</sup> შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

<sup>6</sup> მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულების საფუძველზე, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით წლიურ გეგმასთან მიმართებით მაღალი შესრულებით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობები. კერძოდ, ამ კომპონენტში მოხილიზებულია 216 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის (300 მლნ ლარი) 72.1%-ია.

### 3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობამ 17 მლრდ ლარი და წლიური გეგმის 61% შეადგინა. 2023-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 61.9% და 62.8%-ია. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებს შორის საყურადღებოა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ათვისების ტენდენცია, რომლის შესრულებამაც 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმის 55.2%, ხოლო წლიური გეგმის მხოლოდ 40.7% შეადგინა.

ცხრილი 4. 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (მლნ ლარი).


|                             | 2025 წლის<br>წლიური<br>გეგმა<br>(1) | 2025 წლის 9<br>თვის გეგმა<br>(2) | 2025 წლის 8<br>თვის ფაქტი<br>(3) | %<br>(3)/(1) | %<br>(3)/(2) |
|-----------------------------|-------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|--------------|--------------|
| <b>გადასახდელები</b>        | <b>27,942</b>                       | <b>20,669</b>                    | <b>17,039</b>                    | <b>61.0%</b> | <b>82.4%</b> |
| ხარჯები                     | 21,842                              | 16,261                           | 14,160                           | 64.8%        | 87.1%        |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4,259                               | 3,143                            | 1,734                            | 40.7%        | 55.2%        |
| ფინანსური აქტივების ზრდა    | 424                                 | 220                              | 210                              | 49.6%        | 95.8%        |
| ვალდებულებების კლება        | 1,417                               | 1,046                            | 935                              | 66.0%        | 89.3%        |

ფისკალური წლის პირველ და მეორე კვარტალში გადასახდელები ჩამორჩენით ხასიათდებოდა ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან მიმართებით. კერძოდ, პირველ კვარტალში ათვისებულმა თანხამ 386.9 მლნ ლარი (გეგმის 5.7%) შეადგინა, ხოლო მეორე კვარტალში - 528 მლნ ლარი (გეგმის 7.7%).

- პირველ კვარტალში გადასახდელების გეგმიდან მცირე ჩამორჩენა ძირითადად „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების გეგმიდან ჩამორჩენამ განაპირობა, შესაბამისად, 4.4%-ით (242.9 მლნ ლარით) და 24.7%-ით (220.1 მლნ ლარით), რაც დაბალანსდა „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის გეგმაზე გადაჭარბებით 152.8%-ით (80.3 მლნ ლარით);
- მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა გადასახდელების გეგმაზე 7.7%-იან ჩამორჩენას (528 მლნ ლარით), რაც „ხარჯების“, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების ჩამორჩენით შესრულებამ გამოიწვია, შესაბამისად, 1.2%-ით (62.1 მლნ ლარით), 39.1%-ით (429.8 მლნ ლარით) და 38.2%-ით (31.9 მლნ ლარი);

- მესამე კვარტლის გადასახდელებიდან ორი თვის მდგომარეობით ათვისებულია 61.3% (4.3 მლრდ ლარი) და გეგმური მაჩვენებლის შესასრულებლად კვარტლის ბოლო თვეში (სექტემბერში) ასათვისებელი თანხა 2.7 მლრდ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 8. გადასახდელების კომპონენტების შესრულების მაჩვენებლები კვარტალურ გეგმებთან მიმართებით - 2025 წლის 8 თვე.<sup>7</sup>




გასულ წლებთან შედარებით, ფისკალური წლის განმავლობაში გადასახდელების ათვისება ნაკლები თანაბარზომიერებით მიმდინარეობდა. კერძოდ, 2025 წლის 8 თვის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 2.1 მლრდ ლარს შეადგენს და იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული გადასახდელების წლიური გეგმა შესრულდება, წლის ბოლო ოთხ თვეში გადასახდელების საშუალოთვიური მაჩვენებელი 2.7 მლრდ ლარს გაუტოლდება. აღნიშნული მაჩვენებელი ფისკალური წლის პირველი რვა თვის გადასახდელების ფაქტობრივ საშუალო მაჩვენებელს 28%-ით გადააჭარბებს.<sup>8</sup>

<sup>7</sup> პირველ კვარტალში, ფინანსური აქტივების გეგმაზე გადაჭარბება ძირითადად გამოწვეულია თავდაცვის სამინისტროს პროგრამაში - „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება“ (29 07) „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის 87.1 მლნ ლარით გაზრდით.

<sup>8</sup> 2024 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 7.6%-ს, 2023 წელს - 23%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 9. გადასახდელებისა და მისი კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა - 2023-2025 წწ. (მლნ ლარი).



საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერი ათვისების ტენდენციები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება გადასახდელების ცალკეული კომპონენტების დონეზე. კერძოდ, „ხარჯების“ მუხლში წლიური გეგმის შესრულების შემთხვევაში, წლის ბოლო ოთხ თვეში ასათვისებელი რესურსის მოსალოდნელი საშუალოთვიური მაჩვენებელი, პირველ რეა თვეში დახარჯული რესურსის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 8.5%-ით გადააჭარბებს.<sup>9</sup> „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი, შესაბამისად, 191.1%-სა და 103.1%-ს შეადგენს.<sup>10</sup>

გადასახდელების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ფისკალური წლის

<sup>9</sup> 2024 წელს ანალოგიური მაჩვენებელი ჩამორჩა 0.7%-ით, ხოლო 2023 წელს გადააჭარბა 13.8%-ით.

<sup>10</sup> 2024 წლის ანალოგიური მაჩვენებლებია, შესაბამისად, 31.8% და 70.1%, ხოლო 2023 წლის მაჩვენებლებია 62.6% და 117.2%.



დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

### 3.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებისა და დაბალი ათვისების ტენდენციის მქონე პროგრამებისა და ქვეპროგრამების არსებობაში.

#### □ ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. აღნიშნული წარმოშობს ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტისა და დასახული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ რისკებს (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში*). კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში ადგილი აქვს რესურსების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება;
- გარკვეულ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა.

#### □ ბიუჯეტის შესრულება


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით 9 თვის დამტკიცებული გეგმის 75.9%, ხოლო დაზუსტებული გეგმის 73.8% შეადგინა.<sup>11</sup>

<sup>11</sup> მაჩვენებელი მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების გარდა მოიცავს დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს (57 14). გარდა ამისა, პროგრამების გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებლები არ მოიცავს მიზნობრივ გრანტებს, რადგან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახებიან მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).



ქვეპროგრამების შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 76%-სა და 73.1%-ს უტოლდება. 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე დაბალი ათვისებით ხასიათდება 89 პროგრამა (პროგრამების 55.6%) და 195 ქვეპროგრამა (ქვეპროგრამების 47.8%) (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

დიაგრამა 10. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება 8 თვის ათვისების მაჩვენებლის მიხედვით 9 თვის დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით - 2025 წ.<sup>12</sup>



### 3.2. კაპიტალური პროექტები

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით ათვისების დაბალი ტენდენციით ხასიათდება კაპიტალურ პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსება. კერძოდ, კაპიტალური პროექტების დანართით განსაზღვრული პროექტების ფარგლებში დახარჯულია 1.8 მლრდ ლარი, რაც კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის მხოლოდ 42%-ია (2024 წელი - 59%; 2023 წელი - 52%), ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 67% (2024 წელი - 91%; 2023 წელი - 86%). როგორც წლიური გეგმის, ასევე 9 თვის დაზუსტებული გეგმის 60%-ზე ნაკლებია ათვისებული 36 პროექტის შემთხვევაში (2024 წელი - 23 პროექტი; 2023 წელი - 25 პროექტი). კაპიტალურ პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების ათვისებისა და შესაბამისად, განხორციელების კუთხით არსებული გამოწვევების მიზეზები არაერთგვაროვანია<sup>13</sup> (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 3-ში).

<sup>12</sup> სხვაობა დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამურ რაოდენობაში დაზუსტებულთან შედარებით გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ზოგიერთი პროგრამისთვის/ქვეპროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 9 თვის დამტკიცებული გეგმა არ არის განსაზღვრული ან ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში 9 თვის დაზუსტებული გეგმა ნულის ტოლია.


<sup>13</sup> ტენდერ(ებ)ის უარყოფითი შედეგით დასრულება; პროექტის დამტკიცების შემდგომ მასში ცვლილებების განხორციელება, როგორც შინაარსობრივ, ასევე თანხობრივ და დროით ჭრილში; სამშენებლო ნებართვების მოპოვების გაჭიანურება; კონტრაქტორი კომპანია(ებ)ის მიერ მოთხოვნილი ღირებულების ზრდა და პროცესში შესაბამისი სამუშაოების შეჩერება ან/და სერვისის დაგვიანებით მიწოდება; სამუშაოების მიმდინარეობისას ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების განვითარება და კლიმატური პირობების გაუარესება; დონორი ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი სატენდერო პროცედურების დაკმაყოფილების კუთხით არსებული გამოწვევები; დამატებითი ექსპერტიზის მომსახურების საჭიროების წარმოშობა

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/პროექტების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას.

### 3.3. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმა 5.4 მლრდ ლარია, რაც 13%-ით (640 მლნ ლარით) მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სამი ყველაზე მსხვილი კომპონენტია (მთლიანი მოცულობის 72%) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (2.2 მლრდ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (940 მლნ ლარი) და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (760 მლნ ლარი). 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების 63% (3.4 მლრდ ლარი).

დიაგრამა 11. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ზოგიერთი კომპონენტის შესრულება 8 თვის მდგომარეობით ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით - 2025 წ.



პროექტების მიმდინარეობისას; პროექტირების პროცესში დამატებითი ტექნიკური სირთულეების იდენტიფიცირება; წლის მეორე ნახევარში გაფორმებული ხელშეკრულებები.

რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ზოგიერთ კომპონენტს:

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 8 თვეში გადარიცხულია 405 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 76%-ს (2024 წელი - 83%; 2023 წელი - 71%; 2022 წელი - 60%), ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის 53%-ს შეადგენს (2024 წელი - 70%; 2023 წელი - 47%; 2022 წელი - 38%);**
- **მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 8 თვეში გამოყოფილმა თანხამ 20 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 22%-ია. დახარჯული რესურსის დიდი ნაწილი (55%) სტიქიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციასა და სტიქიის ბრძოლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებაზე იქნა მიმართული. საკანონმდებლო დონეზე სარეზერვო ფონდების განმარტების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე,<sup>14</sup> გასული წლების მსგავსად, 2025 წელსაც ადგილი ჰქონდა თანხების მიმართვას ისეთი გადასახდელების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებენ და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მათი გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხების მხოლოდ ისეთ აქტივობებზე მიმართვის შესაძლებლობაზე, რომელთა განჭვრეტაც შეუძლებელი იქნებოდა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, და ამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კრიტერიუმების საჭიროებაზე, ყურადღება იქნა გამახვილებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური გამჭვირვალობის 2024 წლის შეფასებაშიც;<sup>16</sup>**
- **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის 2025 წლის ათვისების ტენდენცია დადებითი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით ფონდიდან დაიხარჯა 8.9 მლნ ლარი (2024 წელი - 6 მლნ ლარი, 2023 წელი - 7 მლნ ლარი), რაც წლიური გეგმის 45%-ია (2024 წელი - 31%, 2023 წელი - 35%), ხოლო 9 თვის გეგმის 112% (2024 წელი 47%, 2023 წელი - 54%). აღნიშნული თანხიდან 7.6 მლნ ლარი მიიმართა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ხოლო 1.3 მლნ ლარი მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;**
- **დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი 165 მლნ ლარს შეადგენს. 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია 70 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 42% და 9 თვის გეგმის 61%-ია. აღსანიშნავია, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში არსებული 15 ქვეპროგრამიდან 10-ის ათვისება, რომელთა უმეტესობა ინფრასტრუქტურული პროექტია, წლიურ გეგმასთან მიმართებით 35%-ზე ნაკლებია.**

<sup>14</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად” (მუხლი 28, პუნქტი 2).


<sup>15</sup> მაგალითად, 26 მაისის აღსანიშნავად გამოიყო 2.5 მლნ ლარი; ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით გამოიყო 2.5 მლნ ლარი.

<sup>16</sup> GEORGIA, Fiscal Transparency Evaluation, თებერვალი, 2024, გვ. 51

## 4. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მოცულობამ 35.5 მლრდ ლარი შეადგინა და 1.4 მლრდ ლარით (4.1%-ით) გაიზარდა 2024 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 391 მლნ ლარით გაიზარდა და 24.5 მლრდ ლარს გაუტოლდა (მთლიანი სახელმწიფო ვალის 69%), ხოლო საშინაო ვალი 994 მლნ ლარით გაიზარდა და 11 მლრდ ლარი შეადგინა (მთლიანი ვალის 31%). სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთზე გავლენა იქონია როგორც ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ, ასევე ვალის წმინდა ცვლილებამ. სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი ვალუტის გაუფასურების შედეგად 884 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო წმინდა ცვლილების შედეგად - 493 მლნ ლარით შემცირდა. **2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის არსებული ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტის მოქმედი კანონით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის (36.4 მლრდ ლარი) 97.5%-ს შეადგენს.**


დიაგრამა 12. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალის ზღვრული და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლრდ ლარი).




რაც შეეხება მთავრობის ვალს,<sup>17</sup> 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მისმა მოცულობამ 34.6 მლრდ ლარი შეადგინა და 2024 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.4 მლრდ ლარით (4.3%-ით) გაიზარდა. მათ შორის, მთავრობის საშინაო ვალი გაიზარდა 967 მლნ ლარით, ხოლო საგარეო ვალი - 463 მლნ ლარით. მთავრობის საგარეო ვალი ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად 867 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო ახალი კრედიტების წმინდა ზრდა 414 მლნ ლარით შემცირდა.

<sup>17</sup> „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს მუნიციპალიტეტების, სსიპ-ებისა და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.

დიაგრამა 13. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი ვალუტების მიხედვით - 2025 წლის 8 თვე (მლნ ლარი).



დიაგრამა 14. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტების დინამიკა (მლნ ლარი).



ცხრილი 5. მთავრობის ვალის სტრუქტურა 31.08.2025-ის მდგომარეობით (მლნ ლარი).


|                                                          | ვალის ნაშთი<br>31.12.2024-ის<br>მდგომარეობით | ვალის ნაშთის<br>ზღვრული ნიშნული<br>31.12.2025-ისთვის | ვალის ნაშთი<br>31.08.2025-ის<br>მდგომარეობით | ვალი/მშპ <sup>18</sup> |
|----------------------------------------------------------|----------------------------------------------|------------------------------------------------------|----------------------------------------------|------------------------|
| <b>მთავრობის საგარეო ვალი</b>                            | <b>23,121</b>                                | <b>24,061</b>                                        | <b>23,585</b>                                | <b>23.3%</b>           |
| მრავალმხრივი<br>კრედიტორები                              | 17,559                                       | 17,969                                               | 17,949                                       |                        |
| ორმხრივი კრედიტორები                                     | 4,159                                        | 4,718                                                | 4,288                                        |                        |
| ევრო-ობლიგაციები                                         | 1,403                                        | 1,374                                                | 1,347                                        |                        |
| <b>მთავრობის საშინაო ვალი</b>                            | <b>10,048</b>                                | <b>11,559</b>                                        | <b>11,015</b>                                | <b>10.9%</b>           |
| სახაზინო ფასიანი<br>ქაღალდები                            | 9,822                                        | 11,392                                               | 10,838                                       |                        |
| სხვა სახელმწიფო ფასიანი<br>ქაღალდები                     | 193                                          | 153                                                  | 171                                          |                        |
| საბიუჯეტო<br>ორგანიზაციების სესხის<br>სახით არსებულ ვალი | 33                                           | 14                                                   | 6                                            |                        |
| <b>მთავრობის ვალი</b>                                    | <b>33,169</b>                                | <b>35,619</b>                                        | <b>34,599</b>                                | <b>34.2%</b>           |

<sup>18</sup> მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული BDD დოკუმენტი განსაზღვრული 2025 წლის ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი.


#### 4.1. საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი 5 სხვადასხვა ვალუტაში დენომინირებული სესხებისგან შედგება. აქედან ძირითადი ნაწილი ევროში (66.3%), დოლარსა (22%) და SDR-ში<sup>19</sup> (13%) დენომინირებული სესხებია. 2024 წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით, მთავრობის საგარეო ვალის ნაშთში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი 1.1 პ.პ.-ით გაიზარდა და 53.7% შეადგინა.

დიაგრამა 15. მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურის დინამიკა სავალუტო კრილში.



დიაგრამა 16. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტების მოცულობა მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ეს ნიშნული დარღვეულია და ზემოხსენებული კრედიტების წილი მთლიანი ვალის პორტფელის 46.3%-ია, რაც პორტფელის მოწყვლადობას საპროცენტო განაკვეთის შოკების მიმართ მნიშვნელოვნად ზრდის. ამ საკითხზე არაერთხელ იქნა გამახვილებული ყურადღება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებში.

2025 წლის 8 თვეში, საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 546 მლნ ლარის ოდენობით საკრედიტო რესურსი, რაც წლიური გეგმის 29.9%-ია, ხოლო 9 თვის გეგმის 48.8%. მიღებული კრედიტების 86.4% (472 მლნ ლარი) საინვესტიციო დანიშნულებისაა, ხოლო 13.6% (74 მლნ ლარი) - ბიუჯეტის მხარდამჭერია. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტით დაფინანსებული 4 პროგრამიდან,<sup>20</sup> 8

<sup>19</sup> SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.

<sup>20</sup> საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა; ჯანდაცვის სექტორის გაძლიერების პროგრამა; თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - ქვეპროგრამა 2; საქართველოს მწვანე მიმართულებაზე გადასვლის პროგრამა.




თვის განმავლობაში მხოლოდ ერთზე<sup>21</sup> მოხდა კრედიტორის მიერ თანხის ჩამორიცხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ 9 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი 439 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 73.2%).

ცხრილი 6. 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).

|                      | 2025 წლის სახ. ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმა (1) | 2025 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2025 წლის 8 თვის ფაქტი (3) | შესრულება 9 თვის გეგმასთან (%) (3)/(2) | შესრულება წლიურ გეგმასთან (%) (3)/(1) |
|----------------------|---------------------------------------------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------------------|---------------------------------------|
| საგარეო კრედიტები    | 1,826                                                         | 1,119                      | 546                        | 48.8%                                  | 29.9%                                 |
| საინვესტიციო         | 1,226                                                         | 819                        | 472                        | 57.6%                                  | 38.5%                                 |
| ბიუჯეტის მხარდამჭერი | 600                                                           | 300                        | 74                         | 24.7%                                  | 12.4%                                 |

დიაგრამა 17. საინვესტიციო პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების ათვისების ტენდენცია (მლნ ლარი).



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, 1.2 მლრდ ლარის მოცულობის საინვესტიციო კრედიტით დაიგეგმა 45 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება. 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნულ პროექტებზე დაიხარჯა 431.1 მლნ ლარი. გარდა გეგმით გათვალისწინებული პროექტებისა, ნულოვანი გეგმის მქონე 8 საინვესტიციო პროექტზე<sup>22</sup> მიიმართა 27.6 მლნ ლარი.

<sup>21</sup> თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – ქვეპროგრამა 2.

<sup>22</sup> ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 09); თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB) (25 02 03 14); თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა შორაპნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB) (25 02 03 15); სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 16); თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის მონაკვეთის მშენებლობა (ADB) (25 02 03 17); რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-




შესაბამისად, 31 აგვისტოს მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში ჯამურად ათვისებულმა თანხამ 458.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 37.4% და 9 თვის გეგმის 56%-ია.<sup>23</sup> ათვისების აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლების ტენდენციებს.

#### 4.2. საშინაო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსი

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, მთავრობის საშინაო ვალში წინა წლების მსგავსად უმსხვილეს კომპონენტს ემიტირებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს (მთავრობის საშინაო ვალის 98.4%). გასული ორი წლისგან განსხვავებით, 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთში უდიდესი წილი (41.8%) 1-3 წლამდე ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციებს უკავია.

დიაგრამა 18. სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი ნარჩენი ვადიანობის მიხედვით პერიოდის ბოლოს (მლნ ლარი).



2025 წლის 8 თვეში, სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 2.35 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების ემისია.<sup>24</sup>

ჯავახეთი) (WB) (25 03 03); ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების პროგრამა (EBRD) (25 03 06); თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტი (EBRD) (57 14 02 03).

<sup>23</sup> 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში უცხოელი კრედიტორების მიერ ჩამორიცხული თანხა 430 მლნ ლარია. შესაბამისად, საინვესტიციო პროექტების ნაწილი დაფინანსდა წინა პერიოდის ნაშთით.

<sup>24</sup> აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს გაცვლის (Switch) ოპერაციების ფარგლებში გამოშვებული 400 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდების მოცულობასაც.

ცხრილი 7. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია - 2025 წლის 8 თვე (ათასი ლარი).<sup>25</sup>

|                                  | ემისიის<br>მოცულობა<br>ნომინალური<br>ღირებულებით | დისკონტი  | პრემიუმი  | ფაქტობრივი<br>შემოსულობა<br>სახელმწიფო<br>ბიუჯეტში<br>(ძირი თანხა) |
|----------------------------------|--------------------------------------------------|-----------|-----------|--------------------------------------------------------------------|
| 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებები  | 250                                              | 9         | -         | 241                                                                |
| 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები | 160                                              | 11        | -         | 149                                                                |
| 5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები    | 107                                              | 0.01      | 0.4       | 107                                                                |
| 7-წლიანი სახაზინო ობლიგაციები    | 727                                              | 6         | 3         | 725                                                                |
| 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები   | 770                                              | -         | 56        | 826                                                                |
| 11-წლიანი სახაზინო ობლიგაციები   | 340                                              | 15        | 0.05      | 325                                                                |
| <b>სულ ემისია</b>                | <b>2,354</b>                                     | <b>40</b> | <b>59</b> | <b>2,373</b>                                                       |

#### 4.3. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით, მთავრობის ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 3.6 მლრდ ლარი (მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯი 28 მლნ ლარი). მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გაწეული ხარჯების უდიდეს ნაწილს (61%) საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები შეადგენს. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, საშინაო ვალის ძირი თანხის დაფარვის მაჩვენებელმა 1.4 მლრდ ლარი, ხოლო საპროცენტო ხარჯმა 798 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 8. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები<sup>26</sup> (მლნ ლარი).


|                                                           | 2024 წლის<br>ფაქტი | 2025 წლის სახ.<br>ბიუჯეტის<br>კანონი<br>(1) | 2025 წლის 8<br>თვის ფაქტი<br>(2) | შესრულება<br>%<br>(2)/(1) |
|-----------------------------------------------------------|--------------------|---------------------------------------------|----------------------------------|---------------------------|
| <b>მთავრობის საგარეო ვალის<br/>მომსახურება და დაფარვა</b> | <b>1,957</b>       | <b>2,215</b>                                | <b>1,409</b>                     | <b>63.6%</b>              |
| ძირი                                                      | 1,239              | 1,370                                       | 908                              | 66.3%                     |
| პროცენტი                                                  | 718                | 845                                         | 500                              | 59.2%                     |

<sup>25</sup> სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

<sup>26</sup> 2024 წლიდან ფინანსთა სამინისტრო აქტიურად იყენებს ვალდებულებების მართვის (LMO) ოპერაციებს - გამოსყიდვა/გაცვლა. გაცვლა არ წარმოადგენს საკასო ტიპის ოპერაციას და არ ხდება ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული და დაფარული თანხების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე 2025 წლის საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის საპროგნოზო მაჩვენებლის ძირი თანხა არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების დაფარვის თანხას. ასევე, საშინაო ვალის მომსახურების და დაფარვის კომპონენტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლებისთვის არ მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს.

|                                                |       |       |       |       |
|------------------------------------------------|-------|-------|-------|-------|
| მთავრობის საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა | 2,998 | 940   | 2,205 |       |
| ძირი                                           | 2,238 | 40    | 1,407 |       |
| პროცენტი                                       | 760   | 900   | 798   | 88.7% |
| სულ მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა     | 4,955 | 3,155 | 3,613 |       |

დიაგრამა 19. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების დინამიკა (მლნ ლარი).<sup>27</sup>




საყურადღებოა, რომ გასულ წლებში გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და 2023 წლის ბოლოს 3.4%-ს მიაღწია. 2024 წლიდან აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება და 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით 2.8%-მდე შემცირდა. იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო ვალის პორტფელის 53.7% ცვლად საპროცენტო განაკვეთშია დენომინირებული, გაზრდილია საგარეო ვალის საპროცენტო ხარჯის მოწყვლადობა გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ.

მეორე მხრივ, საშინაო წყაროებიდან მობილიზებული რესურსი საგარეოსთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯებით ხასიათდება. შედეგად, მთავრობის ვალის პორტფელში საშინაო ვალის წილის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის საშინაო ვალდებულებებზე გადახდილი საპროცენტო ხარჯის მოცულობას.


ზემოაღნიშნული ორი მოვლენის ერთდროული ზემოქმედება (გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და საშინაო ვალის წილის ზრდა) მნიშვნელოვან ფისკალურ წნეხს წარმოქმნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე“).

<sup>27</sup> 2021 წლის საგარეო ვალის მომსახურების მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია 2011 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვით.

დიაგრამა 20. ცენტრალური ბანკების მონეტარული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა (30.09.2025-ის მდგომარეობით).<sup>28</sup>



დიაგრამა 21. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%).<sup>29</sup>



დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში 2025-2029 წლებისთვის საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრა საპროცენტო ხარჯის შეფარდება მშპ-სთან. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს. არსებული პროგნოზით, 2025 წლის ბოლოსთვის მოცემული მაჩვენებელი 1.7%-ს გაუტოლდება და საშუალოდ ამ ნიშნულზე შემარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც.

<sup>28</sup> წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](https://www.bis.org/)

<sup>29</sup> აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ჩათვლით ვალის პორტფელში შედიოდა 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციები, რომლის კუპონის განაკვეთი 6.875%-ს შეადგენდა. 2021 წლის აპრილში აღნიშნული ევროობლიგაციების რეფინანსირება განხორციელდა ახალი, 2.75% კუპონის მქონე ევროობლიგაციებით. შედეგად, გლობალური საპროცენტო განაკვეთების უცვლელობის პირობებში მომდევნო წლებში უნდა შემცირებულიყო ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

## დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები

რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს წლის განმავლობაში რესურსების მობილიზებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება. ასევე, ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი.

- ინფრასტრუქტურის სამინისტროს „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის (ზემო ოსიური-რიკოთი) (EIB, WB)“ (25 02 03 01) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში 8 თვეში დამატებით მობილიზებულია ჯამურად 56.8 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 127.7%) კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ისეთი სამუშაოების ანაზღაურების მიზნით, რომელიც გათვალისწინებული არ იყო თავდაპირველი პროექტით. ამავე მიზეზით, „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB)“ (25 02 03 03) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი გაიზარდა ჯამურად 36.3 მლნ ლარით (დამტკიცებული გეგმის 73.2%).

ასევე, „ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB)“ (25 02 03 13) და „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა-შორაპნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB)“ (25 02 03 15) ქვეპროგრამების „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „სუბსიდიების“ მუხლებში მობილიზებულია, შესაბამისად, 7.4 მლნ ლარი და 31.7 მლნ ლარი (აღნიშნულ ქვეპროგრამებს დამტკიცებული გეგმები 2025 წელს არ აქვთ). უწყების განმარტებით, ორივე პროექტი დასრულდა გასული წლის ოქტომბერში და გაიხსნა მოძრაობა, ხოლო თანხების მობილიზების საჭიროება დადგა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრისა და კონტრაქტორის დარჩენილი სამუშაოების შესრულების მიზნით.

- განათლების და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის „საჯარო სკოლების საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა“ (32 02 14 02) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში გადმოტანილ იქნა 1.4 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 245.9%) „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ (32 01 04) ქვეპროგრამიდან, საჯარო სკოლებსა და მონაცემთა დატაცენტრებს შორის „VPN“ კავშირის მოსაწყობი მოწყობილობების (მარშრუტიზატორების), ასევე მოწყობილობების მუშაობისათვის სკოლებში არსებული NG-Firewall-ებისა და სამართავი პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალის/ლიცენზიის/გარანტიის განახლების შესყიდვის მიზნით.

- თავდაცვის სამინისტროს პროგრამის „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (29 05) „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში იანვარში გადატანილ იქნა 2 მლნ ლარი „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან მიმდინარე რემონტის, ავტომობილების დაზღვევის, ასევე მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯების დაფინანსების მიზნით.

ამავე სამინისტროს „თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის“ (29 08 01 01) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში მობილიზებულ იქნა ჯამურად 2.3

მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 32.1%) ამავე ქვეპროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, სამინისტროს მიერ სამზარეულოს დანადგარებისა და ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-დანადგარების შესყიდვის ხარჯების დაფინანსების მიზნით. უწყების განმარტებით, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში აღნიშნული ხარჯები განისაზღვრა ეკონომიკური კლასიფიკაციის არასწორ მუხლში.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა“ (31 05 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლში მოზილიზდა 0.8 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 21.4%) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდში არსებული დეფიციტის შევსების მიზნით.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის“ (30 02 01) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში გადმოტანილ იქნა 10.2 მლნ ლარი (ამ მუხლის დამტკიცებული გეგმის 300.3%) სასაზღვრო პოლიციის მიერ საავიაციო ანგარის მშენებლობის, ბალანსზე რიცხული შვეულმფრენის კაპიტალური რემონტისა და სხვადასხვა კომპლექტების შეძენის მიზნით.

ამავე სამინისტროს ქვეპროგრამის „სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა“ (30 06 02) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დამტკიცებული წლიური გეგმა 6 ათასი ლარია. წლის მანძილზე ამ მუხლში გადმოტანილ იქნა დამატებით 7.6 მლნ ლარი სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით (მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასულ წლებშიც).

- სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო მხარდაჭერა“ (34 02 06) „სუბსიდიების“ მუხლიდან ჯამურად 5 მლნ ლარი გადანაწილდა „ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისა“ (34 02 17) და „სპორტულ სახეობათა განვითარების“ (34 02 03) ქვეპროგრამებზე. აღსანიშნავია, რომ „სპორტულ სახეობათა განვითარების“ (34 02 03) ქვეპროგრამაზე აპრილში გადანაწილდა 2 მლნ ლარი, ხოლო მაისში საჭირო გახდა ამავე თანხის უკან მობრუნება ქვეპროგრამის ფარგლებში „ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციასა“ და ძიუდოს ევროპის საერთაშორისო ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2026 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ღონისძიების ლიცენზიის გადახდის მიზნით.



## დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ და ცხრა თვის გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები (მლნ ლარი; %).<sup>30</sup>

| პროგრამის დასახელება                                                                                                                               | ბიუჯეტის<br>კანონით<br>დამტკიცებუ<br>ლი წლიური<br>გეგმა<br>(1) | 9 თვის<br>დამტკიცე<br>ბული<br>გეგმა<br>(2) | 9 თვის<br>დაზუსტე<br>ბული<br>გეგმა<br>(3) | 8 თვის<br>ფაქტი<br>(4) | (4)/(2)<br>% | (4)/(3)<br>% | (4)/(1)<br>% |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------|--------------------------------------------|-------------------------------------------|------------------------|--------------|--------------|--------------|
| <b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>                                                                                  |                                                                |                                            |                                           |                        |              |              |              |
| ქვეყნის ბრენდის განვითარე-<br>ბის ღონისძიებები (24 01 02)                                                                                          | 3.0                                                            | 1.5                                        | 1.0                                       | 0.1                    | 9.8%         | 15.4%        | 4.9%         |
| მარკეტინგული და<br>იურიდიული კონსულტაციე-<br>ბის ხარჯი (24 01 04)                                                                                  | 1.7                                                            | 1.0                                        | 0.3                                       | 0.1                    | 7.0%         | 27.2%        | 4.2%         |
| შრომის ბაზრის ანალიზი (24<br>01 05)                                                                                                                | 0.5                                                            | 0.3                                        | 0.0                                       | 0.0                    | 4.1%         | 95.8%        | 2.1%         |
| ბაზარზე ზედამხედველობის<br>სფეროს რეგულირება და<br>განხორციელების<br>ღონისძიებები (24 04)                                                          | 2.9                                                            | 2.2                                        | 2.2                                       | 1.3                    | 58.8%        | 58.8%        | 44.1%        |
| შიდა ტურიზმი და<br>მარკეტინგული ღონისძიებე-<br>ბი საერთაშორისო ბაზარზე<br>(24 05 02)                                                               | 45.0                                                           | 38.7                                       | 38.0                                      | 22.7                   | 58.7%        | 59.8%        | 50.5%        |
| ავიაკომპანიების<br>სტიმულირება (24 06 05 05)                                                                                                       | 5.0                                                            | 3.2                                        | 3.2                                       | 1.0                    | 32.8%        | 32.8%        | 21.0%        |
| საქართველოში ინოვაციებისა<br>და ტექნოლოგიების<br>განვითარება (24 08 02 01)                                                                         | 36.3                                                           | 31.6                                       | 30.9                                      | 13.5                   | 42.7%        | 43.7%        | 37.2%        |
| ქუთაისის ტექნოლოგიური<br>ჰაბის განვითარების<br>ხელშეწყობა (24 08 02 02)                                                                            | 9.0                                                            | 9.0                                        | 9.0                                       | 2.7                    | 30.5%        | 30.5%        | 30.5%        |
| ტრანსპორტის სფეროში<br>საერთაშორისო ხელშეკრუ-<br>ლებებით ნაკისრი ვალდებუ-<br>ლებების დაფარვა და<br>ტრანსპორტირების ხარჯების<br>სუბსიდირება (24 10) | 20.0                                                           | 14.0                                       | 14.0                                      | 7.9                    | 56.2%        | 56.2%        | 39.3%        |
| სივრცითი და ქალაქთმშენებ-<br>ლობითი განვითარების<br>ხელშეწყობა (24 12 01)                                                                          | 9.5                                                            | 7.1                                        | 7.1                                       | 2.9                    | 40.6%        | 40.6%        | 30.3%        |

<sup>30</sup> ფაქტობრივი დანახარჯები არ მოიცავს მიზნობრივი გრანტების კომპონენტში გაწეულ დანახარჯებს.

|                                                                                                                                          |      |      |      |      |       |       |       |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|------|------|------|-------|-------|-------|
| ტექნიკური დახმარების<br>პროექტი საქართველოს<br>ენერგეტიკული სექტორის<br>რეფორმის პროგრამის<br>(GESRP) მხარდასაჭერად (EU-<br>NIF) (24 13) | 2.5  | 1.5  | 1.5  | 1.1  | 69.3% | 69.3% | 41.6% |
| მოსახლეობის ელექტრო-<br>ენერგიითა და ბუნებრივი<br>აირით მომარაგების<br>გაუმჯობესება (24 15)                                              | 3.7  | 0.7  | 0.7  | 0.4  | 52.9% | 52.9% | 10.3% |
| ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავ-<br>სადგურის განვითარება (24 17<br>01)                                                                         | 4.0  | 3.2  | 2.5  | 0.6  | 17.9% | 22.9% | 14.2% |
| კურორტების განვითარების<br>ხელშეწყობა (24 20)                                                                                            | 6.0  | 4.4  | 4.4  | 1.5  | 35.1% | 35.1% | 25.8% |
| საქართველოს მწვანე<br>მიმართულებაზე გადასვლის<br>ხელშეწყობა (KfW) (24 22)                                                                | 1.8  | 1.1  | 1.1  | 0.1  | 12.9% | 12.9% | 8.0%  |
| <b>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</b>                                                                 |      |      |      |      |       |       |       |
| სტიქიური მოვლენების<br>სალიკვიდაციოდ და<br>პრევენციის მიზნით<br>ჩასატარებელი სამუშაოები<br>(25 02 02 05)                                 | 30.0 | 20.0 | 13.7 | 7.6  | 38.1% | 55.6% | 25.4% |
| კრედიტებისა და გრანტების<br>მომსახურების ხარჯები (25 02<br>02 06)                                                                        | 0.7  | 0.5  | 0.5  | 0.3  | 61.3% | 61.3% | 46.0% |
| <b>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</b>                                                                                                  |      |      |      |      |       |       |       |
| არბიტრაჟებში, უცხო ქვეყნის<br>სასამართლოებში და<br>საერთაშორისო სასამართ-<br>ლოებში სახელმწიფო<br>წარმომადგენლობა (26 01 02)             | 70.0 | 55.0 | 55.0 | 33.2 | 60.3% | 60.4% | 47.4% |
| <b>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</b>                             |      |      |      |      |       |       |       |
| დასაქმების ხელშეწყობის<br>მომსახურებათა მართვა (27 01<br>08)                                                                             | 1.8  | 1.4  | 1.3  | 0.7  | 51.5% | 55.6% | 38.7% |
| ჯანმრთელობის დაცვის<br>პროგრამების მართვა (27 01<br>09)                                                                                  | 5.7  | 4.3  | 3.6  | 2.0  | 47.3% | 56.3% | 35.6% |
| მოქალაქეთა ინდივიდუ-<br>ალური სამედიცინო<br>დახმარების ხელშეწყობა და<br>მართვა (27 01 11)                                                | 1.1  | 0.8  | 0.8  | 0.5  | 59.9% | 59.9% | 44.9% |
| შრომის პირობების<br>ინსპექტირება (27 01 12)                                                                                              | 8.4  | 6.4  | 6.4  | 4.3  | 66.9% | 66.9% | 50.5% |

|                                                                                                                                               |      |      |      |      |       |       |       |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|------|------|------|-------|-------|-------|
| იმუნიზაცია (27 03 02 02 01)                                                                                                                   | 30.0 | 21.2 | 21.2 | 10.1 | 47.9% | 47.9% | 33.8% |
| ეპიდზედამხედველობა (27 03 02 03)                                                                                                              | 2.7  | 2.2  | 2.2  | 1.5  | 66.1% | 66.1% | 54.0% |
| ტუბერკულოზის მართვა (27 03 02 06 01)                                                                                                          | 12.3 | 9.3  | 7.3  | 5.5  | 59.7% | 76.3% | 44.8% |
| ტუბერკულოზის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (27 03 02 06 02) | 2.1  | 1.6  | 1.6  | 0.8  | 51.6% | 51.6% | 38.9% |
| ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)                                                                                                         | 2.0  | 1.5  | 0.5  | 0.3  | 20.6% | 61.9% | 15.5% |
| ჰეპატიტის მართვა (სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (27 03 02 11 02)    | 1.4  | 1.0  | 1.0  | 0.6  | 60.9% | 60.9% | 45.0% |
| დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)                                                                                              | 0.5  | 0.3  | 0.3  | 0.1  | 22.4% | 22.4% | 13.9% |
| არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა (27 05 04)                                                                                 | 2.5  | 1.8  | 0.6  | 0.4  | 24.5% | 78.3% | 17.6% |
| სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)                                                                 | 1.5  | 1.1  | 1.1  | 0.6  | 52.6% | 52.6% | 38.7% |
| ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (27 06 02)                                                                                                      | 24.3 | 16.8 | 16.8 | 9.5  | 56.6% | 56.6% | 39.0% |
| საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)                                                                                          | 2.0  | 1.0  | 1.0  | 0.5  | 52.8% | 52.8% | 26.0% |
| <b>საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</b>                                                                                                       |      |      |      |      |       |       |       |
| პროფესიული განვითარება (29 02 03)                                                                                                             | 2.7  | 2.0  | 2.0  | 1.4  | 67.7% | 67.7% | 51.7% |
| სასწავლო კურსები (29 02 05)                                                                                                                   | 1.2  | 0.9  | 0.9  | 0.4  | 41.7% | 41.7% | 31.2% |
| ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (29 03 04)                                                                                            | 1.0  | 0.8  | 0.8  | 0.4  | 48.9% | 46.4% | 36.7% |
| კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (29 04 02)                                                                          | 7.2  | 5.4  | 5.4  | 3.6  | 67.0% | 66.9% | 50.3% |
| <b>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</b>                                                                                                 |      |      |      |      |       |       |       |
| დაცვის პოლიციის ცენტრალური აპარატი (30 03 01 01)                                                                                              | 12.5 | 9.8  | 9.8  | 6.4  | 64.8% | 64.8% | 50.8% |

| საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო                                       |      |      |      |      |       |       |       |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|------|------|------|------|-------|-------|-------|
| ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (31 01 03)      | 7.5  | 7.4  | 7.3  | 2.4  | 32.8% | 33.6% | 32.5% |
| გარემოსდაცვითი პროგრამა (31 01 04)                                                                | 2.0  | 1.0  | 0.5  | -    | 0.0%  | 0.0%  | 0.0%  |
| მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა (31 02 04)                                     | 2.7  | 2.5  | 2.4  | 1.4  | 58.2% | 58.5% | 52.8% |
| დანერგე მომავალი (31 05 04)                                                                       | 26.0 | 24.0 | 14.4 | 13.2 | 55.0% | 91.6% | 50.7% |
| ქართული ჩაი (31 05 05)                                                                            | 0.5  | 0.4  | 0.2  | 0.0  | 6.4%  | 11.1% | 4.4%  |
| გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (31 05 06)                    | 13.0 | 11.5 | 8.5  | 3.8  | 33.3% | 45.1% | 29.5% |
| პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (31 05 08)                                              | 1.2  | 0.9  | 0.7  | 0.4  | 46.0% | 56.6% | 34.0% |
| სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (31 05 10)                                    | 10.0 | 7.1  | 5.2  | 1.1  | 15.3% | 21.1% | 10.9% |
| ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 13)                                                      | 1.0  | 0.7  | 0.3  | 0.1  | 7.6%  | 18.5% | 5.3%  |
| საპილოტე პროგრამა ქალებისთვის (31 05 14)                                                          | 1.0  | 0.8  | 0.1  | -    | 0.0%  | 0.0%  | 0.0%  |
| კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა (31 05 16) | 2.0  | 1.6  | 1.2  | 0.4  | 23.0% | 30.7% | 18.4% |
| მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა (31 05 19)                                                      | 1.0  | 0.9  | 0.7  | 0.4  | 48.7% | 62.6% | 43.8% |
| ქართული ბოსტნეული სათბურებიდან (31 05 20)                                                         | 8.0  | 5.0  | 2.4  | 0.7  | 13.3% | 27.6% | 8.3%  |
| საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (31 06 03)                | 33.6 | 25.2 | 25.2 | 5.2  | 20.7% | 20.7% | 15.5% |
| დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა (31 08 02)                                         | 1.0  | 0.8  | 0.8  | 0.1  | 7.9%  | 7.9%  | 6.3%  |
| ეკოტურიზმის განვითარება (31 08 03)                                                                | 6.5  | 5.7  | 4.9  | 1.5  | 25.8% | 29.6% | 22.5% |

|                                                                                                                                         |      |      |      |      |       |       |       |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|------|------|------|-------|-------|-------|
| ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კომპონენტი) (KfW) (31 08 06)     | 3.7  | 3.3  | 3.3  | 1.6  | 47.3% | 47.3% | 42.5% |
| გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა (31 11 04)                                                                             | 0.6  | 0.5  | 0.5  | 0.1  | 16.1% | 16.1% | 13.6% |
| რადიოაქტიური და დარიშხანშემცველი ნარჩენების მართვის ღონისძიებები (31 12 02)                                                             | 6.3  | 4.2  | 3.9  | 1.3  | 30.9% | 33.8% | 20.8% |
| სააგენტოს მართვა და ადმინისტრირება (31 13 01)                                                                                           | 16.9 | 14.7 | 13.6 | 9.3  | 63.6% | 68.5% | 55.4% |
| ჰიდრომეტეოროლოგიის მონიტორინგი (31 13 02)                                                                                               | 8.0  | 4.5  | 4.5  | 1.6  | 35.4% | 35.4% | 20.0% |
| გეოლოგიური მონიტორინგი (31 13 03)                                                                                                       | 3.8  | 3.6  | 3.6  | 0.4  | 11.9% | 11.9% | 11.2% |
| გარემოს დაბინძურების მონიტორინგი (31 13 04)                                                                                             | 5.0  | 3.4  | 2.8  | 0.5  | 13.4% | 16.4% | 9.3%  |
| <b>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</b>                                                                 |      |      |      |      |       |       |       |
| ა(ა)იპ - აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა (32 01 07)                                                                              | 2.0  | 0.9  | 0.8  | 0.5  | 54.1% | 61.7% | 25.4% |
| სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი (32 02 02 01)                                                     | 1.6  | 1.2  | 1.2  | 0.9  | 68.5% | 68.5% | 51.9% |
| მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (32 02 06 01) | 60.0 | 31.8 | 31.8 | 16.6 | 52.1% | 52.1% | 27.7% |
| ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 07)                            | 5.3  | 4.0  | 4.0  | 2.6  | 65.1% | 65.1% | 49.0% |
| მასწავლებლის ეროვნული პრემია (32 02 13)                                                                                                 | 1.0  | 1.0  | 1.0  | 0.0  | 1.2%  | 1.2%  | 1.2%  |
| საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებითა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 02 14 03)        | 42.0 | 42.0 | 42.0 | 25.9 | 61.7% | 61.7% | 61.7% |

|                                                                                     |      |     |     |     |       |       |       |
|-------------------------------------------------------------------------------------|------|-----|-----|-----|-------|-------|-------|
| სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (32 02 15)                                         | 0.7  | 0.5 | 0.5 | 0.2 | 44.5% | 44.5% | 33.0% |
| ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამები (32 03 02 02)                     | 11.0 | 7.5 | 7.0 | 3.7 | 48.9% | 52.5% | 33.5% |
| პროგრამა „ცოდნის კარი“ (32 04 02 07)                                                | 1.0  | 0.5 | 0.4 | 0.3 | 53.4% | 78.2% | 27.8% |
| ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისათვის ადამიანური რესურსების განვითარება (32 06 04) | 0.6  | 0.4 | 0.4 | 0.2 | 62.1% | 63.5% | 39.3% |
| ახალგაზრდობის სფეროში ადმინისტრირება და მართვა (32 08 01)                           | 2.3  | 1.7 | 1.7 | 1.2 | 69.9% | 69.9% | 51.9% |
| ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (32 08 02)                                    | 10.0 | 9.0 | 9.0 | 5.9 | 64.8% | 65.3% | 58.7% |
| <b>საქართველოს სპორტის სამინისტრო</b>                                               |      |     |     |     |       |       |       |
| ქართული ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერა (34 02 13)                                   | 0.8  | 0.6 | 0.6 | 0.4 | 66.7% | 66.7% | 47.5% |
| სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი (34 05 03 01)      | 2.5  | 2.0 | 2.0 | 0.9 | 46.7% | 46.7% | 37.3% |

**გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით.**

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამის „ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები“ (24 01 02) 9 თვის გეგმა 1.5 მლნ ლარია (წლიური გეგმა 3 მლნ ლარი), საიდანაც 8 თვეში ათვისებულ იქნა მხოლოდ 9.8% (9 თვის დაზუსტებული გეგმის 15.4%). სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილი ღონისძიებები წლის პირველ ნახევარში ვერ განხორციელდა, ასევე თანხის ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია ოქტომბრის თვეში ჩასატარებელი ღონისძიებებისთვის. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა გასულ წლებშიც.

ამავე სამინისტროს ქვეპროგრამის „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება“ (24 17 01) 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 3.2 მლნ ლარით, საიდანაც 8 თვეში ათვისებულ იქნა მხოლოდ 17.9%. სამინისტროს ინფორმაციით, დაბალი ათვისება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში არსებულმა ვაკანტური პოზიციების რაოდენობამ და შერჩეულ ინვესტორთან მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურებამ.



- *ჯანდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამებში „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა“* (27 01 09) (9 თვის გეგმა 4.3 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისება 47.3%) და *„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა და მართვა“* (27 01 11) (9 თვის გეგმა 0.8 მლნ ლარი; 8 თვეში ათვისება 59.9%) სამინისტროს მიერ დაბალი ათვისების ძირითად მიზეზად სახელდება მნიშვნელოვანი ოდენობის თავისუფალი შტატების არსებობა. საყურადღებოა, რომ ეს ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდნენ წინა წლებშიც ანალოგიური მიზეზით.

ამავე სამინისტროს *ქვეპროგრამის „ტუბერკულოზის მართვა“* (27 03 02 06 01) 9 თვის დამტკიცებული გეგმა 9.3 მლნ ლარია, საიდანაც 8 თვეში ათვისებულია 59.7%. უწყების განმარტებით, ათვისების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია სტაციონარში ბენეფიციართა შემცირებული მიმართვიანობით. აღსანიშნავია, რომ ამავე მიზეზით პროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა ბოლო წლებშიც.

ასევე, დაბალი ათვისებით ხასიათდება სამინისტროს *ქვეპროგრამა „ჯანმრთელობის ხელშეწყობა“* (27 03 02 10), რომლის 9 თვის დამტკიცებული ბიუჯეტი 1.5 მლნ ლარს, ხოლო 8 თვის ათვისების მაჩვენებელი 20.6%-ს შეადგენს. დაბალი ათვისების ძირითად მიზეზად სატენდერო პროცედურების გაჭიანურება სახელდება. ამავე მიზეზით, ათვისების დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება წინა წლებშიც.
- *თავდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარება“* (29 02 03) 9 თვის დამტკიცებული გეგმა 2 მლნ ლარია, საიდანაც 8 თვეში ათვისებულია 67.7%. სამინისტროს ინფორმაციით, დაბალი ათვისების ძირითადი მიზეზია თავისუფალი შტატების არსებობა და დაგეგმილი ტრენინგების ინტენსივობის შემცირება.
- *გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „სასოფლო სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი“* (31 05 10) 8 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 1.1 მლნ ლარი და 9 თვის გეგმის 15.3% შეადგინა. უწყების განმარტებით, ათვისებლობის მიზეზია ბენეფიციართა დაბალი აქტივობა. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა გასულ წელსაც.

ამავე სამინისტროს *ქვეპროგრამის „ბიოჩარმობის ხელშეწყობის პროგრამა“* (31 05 13) დაბალი ათვისების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ბენეფიციართა ნაკლები დაინტერესება სახელდება. აღნიშნული ქვეპროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმა 1 მლნ ლარს, ხოლო 8 თვის ფაქტობრივი ხარჯი 53.4 ათას ლარს შეადგენს. ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც.
- *განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ქვეპროგრამის „ა(ა)იპ - აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა“* (32 01 07) 9 თვის გეგმა 0.9 მლნ ლარი, ხოლო 8 თვის ფაქტობრივი ხარჯი 502.3 ათასი ლარია (დამტკიცებული გეგმის 54.1%). უწყების განმარტებით, სწავლის დაწყების გადავადებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა პერსონალის დაკომპლექტება, შესაბამისად, ათვისებული დარჩა ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხები.

ანალოგიური მიზეზით ათვისების დაბალი მაჩვენებელი აქვს ქვეპროგრამას „ახალგაზრდობის სფეროში ადმინისტრირება და მართვა“ (32 08 01), რომლის 9 თვის გეგმა 1.7 მლნ ლარი, ხოლო 8 თვის ათვისების მაჩვენებელი 69.9%-ია. სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში იგეგმება არსებული თავისუფალი შტატების დაკომპლექტება. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული პროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდებოდნენ გასულ წლებშიც ანალოგიური მიზეზით.

### დანართი 3. კაპიტალური პროექტების ათვისების მდგომარეობა - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე კაპიტალური პროექტები - 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი; %).

| პროექტის დასახელება                                                                                | 2025 წლის<br>დამტკიცე<br>ბული<br>გეგმა | 2025 წლის<br>9 თვის<br>დაზუსტე<br>ბული გეგმა | 2025<br>წლის<br>8 თვის<br>ფაქტი | ათვისება<br>წლიურ<br>დამტკიცე<br>ბულ<br>გეგმასთან | ათვისება 9<br>თვის<br>დაზუსტე<br>ბულ<br>გეგმასთან |
|----------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|----------------------------------------------|---------------------------------|---------------------------------------------------|---------------------------------------------------|
| თბილისის ახალი საერთაშორისო<br>აეროპორტის მშენებლობა (24 06 05 02)                                 | 20,000                                 | 8,000                                        | -                               | 0%                                                | 0%                                                |
| თელავის აეროპორტის ახალი<br>ინფრასტრუქტურა (24 06 05 04)                                           | 5,000                                  | 2,500                                        | -                               | 0%                                                | 0%                                                |
| 500 კვ ეგზ „წყალტუბო-ახალციხე-<br>თორთუმი“ (EU-NIF, KfW) (24 14 01 01)                             | 18,000                                 | 10,048                                       | 4,158                           | 23%                                               | 41%                                               |
| ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი -<br>წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, EU-NIF,<br>KfW) (24 14 01 02)   | 20,000                                 | 12,881                                       | 5,738                           | 29%                                               | 45%                                               |
| 500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB) (24 14<br>01 03)                                                    | 22,000                                 | 20,657                                       | 2,394                           | 11%                                               | 12%                                               |
| გურიის ელგადაცემის ხაზების<br>ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF,<br>KfW) (24 14 01 04)            | 24,000                                 | 13,593                                       | 3,711                           | 15%                                               | 27%                                               |
| ხელედულა-ლაჯანური-ონი (EU-<br>NIF,KfW) (24 14 01 06)                                               | 20,000                                 | 17,644                                       | 4,359                           | 22%                                               | 25%                                               |
| შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამ-<br>ცემი ხაზის პროექტი (WB) (24 14 02)                           | 25,000                                 | 12,500                                       | 6,441                           | 26%                                               | 52%                                               |
| ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის<br>მშენებლობა (24 17 02)                                              | 150,000                                | 100,000                                      | 50,000                          | 33%                                               | 50%                                               |
| ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტ-<br>როსადგურების რეაბილიტაციის პროექტი<br>(EBRD, EIB, EU) (24 19) | 16,000                                 | 2,100                                        | 813                             | 5%                                                | 39%                                               |
| ენერგიის დამაგროვებელი<br>მოწყობილობის პროექტი (ADB) (24 23)                                       | 5,000                                  | 5,000                                        | -                               | 0%                                                | 0%                                                |

|                                                                                                                                                                                              |         |        |        |     |     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|--------|--------|-----|-----|
| შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის<br>ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-<br>ჩუმათელეთის საავტომობილო გზის<br>ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის<br>რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25<br>02 02 10) | 40,000  | 29,975 | 13,356 | 33% | 45% |
| თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის<br>რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო<br>გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის<br>მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 10)                                 | 120,000 | 60,435 | 1,738  | 1%  | 3%  |
| ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის<br>მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB) (25 02<br>03 11)                                                                                                          | 70,000  | 34,685 | 1,998  | 3%  | 6%  |
| სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო<br>გზის ბათუმი(ქოროხი)-სარფის<br>მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის<br>მშენებლობა (ADB) (25 02 03 12)                                                        | 35,000  | 9,000  | 167    | 0%  | 2%  |
| საქართველოს მუნიციპალური<br>განვითარების ფონდის მიერ განსახორ-<br>ციელებელი პროექტები (25 03 01)                                                                                             | 165,000 | 55,529 | 24,740 | 15% | 45% |
| რეგიონალური განვითარების პროექტი III<br>(მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი)<br>(WB) (25 03 03)                                                                                              | 15,000  | 6,547  | 3,267  | 22% | 50% |
| საჯარო სკოლების მშენებლობა-<br>რეაბილიტაცია (25 06 01 01)                                                                                                                                    | 6,000   | 2,724  | 1,571  | 26% | 58% |
| თბილისის საჯარო სკოლების რეაბილი-<br>ტაციისა და ენერგოეფექტურობის<br>გაზრდის პროექტი (CEB, E5P) (25 06 01 02)                                                                                | 39,000  | 19,054 | 10,035 | 26% | 53% |
| შენობებში მწვანე ინვესტიციების<br>პროექტი (EBRD) (25 06 01 04 01)                                                                                                                            | 500     | 475    | 77     | 15% | 16% |
| საქართველოს მთიან რეგიონებში საჯარო<br>სკოლების რეაბილიტაცია და<br>ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება (E5P,<br>NEFCO) (25 06 01 05)                                                              | 30,000  | 15,168 | 3,176  | 11% | 21% |
| სპორტული ინფრასტრუქტურის<br>მხარდაჭერი ღონისძიებები (25 08)                                                                                                                                  | 200,000 | 50,638 | 5,296  | 3%  | 10% |
| პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქ-<br>ტურის გაუმჯობესება (26 02 03)                                                                                                                           | 44,000  | 29,880 | 11,865 | 27% | 40% |
| სამედიცინო დაწესებულებათა<br>რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)                                                                                                                              | 60,000  | 25,502 | 3,003  | 5%  | 12% |
| კლიმატგონივრული ირიგაციის<br>სექტორის განვითარების პროექტი (ADB)<br>(31 06 04 01)                                                                                                            | 8,000   | 6,968  | 3,615  | 45% | 52% |
| საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის<br>პროექტი (EIB) (31 06 04 02)                                                                                                                            | 5,400   | 4,135  | 318    | 6%  | 8%  |
| საქართველოში სარწყავი სოფლის<br>მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის<br>პროექტი (AFD) (31 06 04 03)                                                                                           | 1,650   | 1,440  | 162    | 10% | 11% |

|                                                                                                                                             |        |        |        |     |     |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------|--------|-----|-----|
| პროფესიული განათლება I (KfW) (32 10)                                                                                                        | 20,000 | 15,001 | 1,081  | 5%  | 7%  |
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა (33 03 03 02)                                                                                     | 30,103 | 27,266 | 13,803 | 46% | 51% |
| აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD, SIDA) (57 14 01)                                                                                     | 5,000  | 4,000  | 1,661  | 33% | 42% |
| თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) (57 14 02 01)                                                                              | 15,000 | 11,250 | 4,733  | 32% | 42% |
| საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (57 14 04 01 01)                          | 5,000  | 4,223  | 1,031  | 21% | 24% |
| საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (57 14 04 01 02) | 10,000 | 4,019  | 955    | 10% | 24% |
| მდგრადი ურბანული მობილობა (KfW) (57 14 05)                                                                                                  | 30,000 | 8,834  | 2,368  | 8%  | 27% |
| თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (EBRD) (57 14 09 01)                                                                                  | 4,000  | 3,000  | -      | 0%  | 0%  |
| თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (მოდრავი შემადგენლობის განახლება) (AIIB) (57 14 09 02)                                                | 30,000 | 30,000 | 966    | 3%  | 3%  |

**ცალკეული კაპიტალური პროექტები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით.**

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB)“ (25 02 02 10) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 30 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 45%) დაბალი ათვისების მიზეზი საავტომობილო გზის მონაკვეთის რთულ გეოლოგიურ მთიან რელიეფურ რეგიონში მდებარეობაა. კერძოდ, გზის გარკვეულ მონაკვეთებზე განვითარდა მეწყრული პროცესები, რამაც შეაფერხა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი.

პროექტებში „თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)“ (25 02 03 10) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 60 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 3%) და „ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB)“ (25 02 03 11) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 35 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 6%) დაბალი ათვისების მიზეზად დონორის მიერ დადგენილი წესების დაცვით განსახორციელებელი სატენდერო პროცედურების დროში გაჭიანურება სახელდება.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტების“ (25 03 01) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 56 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 45%) დაბალი ათვისების მიზეზია ექსპერტიზის დანიშვნა ობიექტის კონსტრუქციული მდგომარეობის, ასევე შესრულებული სამუშაოების მოცულობის დადგენის მიზნით, რამაც დროში გადაავადა სამუშაოების მიმდინარეობისა და დასრულების ვადები. ასევე, პროექტირების პროცესში წარმოქმნილმა ტექნიკურმა სირთულეებმა გააჭიანურა პროექტირების დასრულების ვადები და შესაბამისად, მშენებლობაზე ტენდერის გამოცხადების და სამუშაოების დაწყების თარიღებიც.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტის „ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური (EBRD, EU-NIF, KfW)“ (24 14 01 02 ) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 13 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 45%) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების დროული ათვისება ვერ მოხერხდა დეტალური დიზაინის დაგვიანებით დასრულების, სამშენებლო ნებართვების მიღების პროცესის, ასევე განახლებული დიზაინის მიხედვით ფასთა ცხრილის შეთანხმების პროცესის გაჭიანურების გამო.

იმავე სამინისტროს პროექტების „გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW)“ (24 14 01 04) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 14 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 27%) და „ხელედულა-ლაჯანური-ონი (EU-NIF, KfW)“ (24 14 01 06) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 18 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 25%) მშენებლობის პროცესი შეჩერებულია, რადგან კონტრაქტორი ითხოვს ღირებულების გაზრდას.

- საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ქვეშ არსებული „თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის (EBRD)“ (9 თვის დაზუსტებული გეგმა 11.3 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 42%) ფარგლებში ათვისება მხოლოდ მეორე კომპონენტიდან (გადამტვირთი სადგურის რეაბილიტაცია) ხდებოდა. კონტრაქტორმა გეოტექნიკური კვლევებისას აღმოაჩინა, რომ გადამტვირთი სადგური მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავარიული უბნის მიმდებარედ, რის გამოც სამშენებლო ტერიტორია საჭიროებდა ნაპირსამაგრ და ფერდესამაგრ სამუშაოებს. აღნიშნული სამუშაოების აუცილებლობამ გამოიწვია კონტრაქტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რამაც გაახანგრძლივა პროექტის განხორციელების პროცესი.
- საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ქვეშ არსებული „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის (EBRD)“ (57 14 09 01) (9 თვის დაზუსტებული გეგმა 4 მლნ ლარი; 8 თვის ათვისება 0%) ფარგლებში 2024 წლის მდგომარეობით მიმდინარეობდა თბილისის 12 მეტროსადგურისთვის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავებისა და შესყიდვის მხარდაჭერის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის გათვალისწინებით შერჩეულ კომპანიას შეეძლო მოთხოვნა დაეყენებინა ან უარი ეთქვა საავანსო გადახდის მიღებაზე. შერჩეულმა კომპანიამ უარი განაცხადა საავანსო თანხის მიღებაზე, რომელიც შეადგენდა 2.5 მლნ ლარს, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული თანხის ათვისება ვერ განხორციელდა.